დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 8

ქ. დმანისი 24 მაისი 2019 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბი ოქრიაშვილი**
საკრებულოს 31 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

| № | სახელი, გვარი | მისამართი | თვე–რიცხვი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | მერაბი ოქრიაშვილი | სოფ.ჯავახი | 24.05.2019 | + |
| 2 | გუსეინ ისმაილოვი | ქ. დმანისი | 24.05.2019 | |
| 3 | ალექსანდრე დაუთაშვილი | ქ. დმანისი | 24.05.2019 | |
| 4 | კახა პეტრიაშვილი | ქ. დმანისი | 24.05.2019 | |
| 5 | გოგი ციხელაშვილი | სოფ. განთიადი | 24.05.2019 | |
| 6 | თეიმურაზ აფრასიძე | ქ. დმანისი | 24.05.2019 | |
| 7 | სოფიო ასლამაზაშვილი | სოფ. განთიადი | 24.05.2019 | |
| 8 | მურაზი აბრამიშვილი | სოფ. ბოსლები | 24.05.2019 | |
| 9 | ზურიკო ჩხვიმიანი | ქ. დმანისი | 24.05.2019 | |
| 10 | ფირუზა ციხელაშვილი | სოფ. განთიადი | 24.05.2019 | |
| 11 | ნიაზ მაჯითოვი | ქ. დმანისი | 24.05.2019 | |
| 12 | აიდინ შარიფოვი | სოფ. პანტიანი | 24.05.2019 | |
| 13 | ზაურ გრიგალაშვილი | სოფ. ბოსლები | 24.05.2019 | |
| 14 | დავით დაუთაშვილი | სოფ. გორა | 24.05.2019 | |
| 15 | ვალერი სამადაშვილი | სოფ. გომარეთი | 24.05.2019 | |
| 16 | ემილ იბრაგიმოვი | სოფ. ამამლო | 24.05.2019 | |
| 17 | ქამრან ხიდიროვი | სოფ. ზემო. ოროზმანი | 24.05.2019 | |
| 18 | ვიდადი აბდულაევი | სოფ. კამარლო | 24.05.2019 | |
| 19 | გეგი უმფრიანი | სოფ. სარკინეთი | 24.05.2019 | |
| 20 | გოგი ბარბაქაძე | სოფ. გომარეთი | 24.05.2019 | |
| 21 | ალექსანდრე ნონიაშვილი | ქ. დმანისი | 24.05.2019 | |
| 22 | გუმბათ იუსუბოვი | სოფ. ირგანჩაი | 24.05.2019 | |
| 23 | რამიზ რამაზანოვი | სოფ. ზემო ოროზმანი | 24.05.2019 | |
| 24 | შოთა აკობაშვილი | სოფ. დიდი დმანისი | 24.05.2019 | |
| 25 | ავთანდილ მუსაევი | სოფ.კიზილქილისა | 24.05.2019 | |
| 26 | თორნიკე ნინიაშვილი | სოფ. გუგუთი | 24.05.2019 | |
| 27 | მზია ნინიაშვილი | სოფ. ვარდისუბანი | 24.05.2019 | |
| 28 | დავით მენაბდიშვილი | სოფ. მაშავერა | 24.05.2019 | |
| 29 | აზერ ალიევი | სოფ. იფნარი | 24.05.2019 | |
| 30 | ფაიგ ისმაილოვი | სოფ. კარაბულახი | 24.05.2019 | |

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდა:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი , დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

**სხდომა დაიწყო:** 12. 00
**სხდომა დასრულდა:** 12. 20

დღის წესრიგი:

| | |
|---|---|
| 1 | **დადგენილება :** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **თ. ტატულაშვილი** |
| 2 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №50 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **ლ. მანთაშაშვილი** |
| 3 | **განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N53 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **მ. აბრამიშვილი** |
| 4 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების ( სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარით აუქციონის წესით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **გ. ციხელაშვილი** |
| 5 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის " უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **გ. ციხელაშვილი** |
| 6 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,, დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის'' უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **გ. ციხელაშვილი** |
| 7 | **განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ |
| **მომხსენებელი:** | **გ. ციხელაშვილი** |
| 8 | **განკარგულება:** ,,პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის" გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე |
| **მომხსენებელი:** | **კ. პეტრიაშვილი** |

1.**მომახსენებელი :** **თემურ ტატულაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის

,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის N1124 განკარგულებით „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #554 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 385580 ლარი. ქ.დმანისში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპიური შენობა #3-ის მშენებლობისათვის, რაც შესაბამისად ასახული იქნა გადასახდელების ორგანიზაციულ კოდში 030202 „ბინათმშენებლობის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, ხოლო საქართველოს 2019 წლის 27 თებერვლის #120 დადგენილებით „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული 182000 ლარი შემცირებული იქნეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის #7 დადგენილებაში ასახული თანხა, როგორც შემოსულობების ასევე გადასახდელების ნაწილში საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემამდე.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 18 648,3 ათასი ლარის ოდენობით.

**აზრი გამოთქვეს:** 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 24

**წინაღმდეგი:** 1

2. **მომხსენებელი: ლევან მანთაშაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №50 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელ პროექტებში შევიდა ცვლილება; პუნქტ 3-დან 200000 ლარი გადატანილი იქნა ქ. დმანისის და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების გარე განათების მოწყობისთვის.

პუნქტ 3-იდან 105000 ლარი გადატანილი პუნქტ 2-ში ქ. დმანისის სკვერებში მდებარე საპირფარეშოების, 9 აპრილის და ჩოლოყაშვილის კვეთასთან მინი სტადიონის სკვერიბი და საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ; მაშავერაში, სოფ; ჯავახში, სოფ; ბოსლებში,სოფ; ვარდისუბანში და სოფ; გომარეთში მინი სტადიონების და სკვერების მოწყობა.

პუნქტ 11-იდან 47938 ლარი გადატანილი იქნა პუნქტ 6-ში რგფ პროექტების თანადაფინანსებისათვის.

**აზრი გამოთქვეს:** ლევან მოსეშვილმა .

**გადაწყვიტეს:** შევიდეს ცვლილება აღნიშნულ განკარგულებაში.

**მომხრე:** 24

**წინაღმდეგი:** 1

3. **მომხსენებელი: მ. აბრამიშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N53 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

კერძოდ, დანართ N 3-ში ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, [illegible] 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის“ მე-4 მუხლის პირველ და

,,1. პროგრამით მოსარგებლეთათვის გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები.“

,,2. დაფინანსება:

ბენეფიციარების დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

გაუქმდეს დანართი N7 ,,მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“.

,,მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამა“ ითვალისწინებდა ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ფარგლებში (მედიკამენტებით) დახმარებას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად თანხის ჩარიცხვა მოხდებოდა მომწოდებელ აფთიაქზე. კონსოლიდირებულ ტენდერში გამოვლენილ სააფთიაქო ქსელებიდან (კონსოლიდირებული ტენდერი დღემდე არ დასრულებულა ზოგიერთი დასახელების მედიკამენტზე) დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს აფთიაქი ,,ავერსი“ და ,,36/6“, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ბენეფიციართა მხრიდან მოთხოვნილი მედიკამენტების შემოტანას თავიანთ ქსელებში, რამაც შესაბამისად გამოიწვია ბენეფიციართა უკმაყოფილება აღნიშნული პროგრამის მიმართ.

**აზრი გამოთქვეს:** 0

**გადაწყვიტეს:** შევიდეს ცვლილება აღნიშნულ განკარგულებაში.

მომხრე: 24

წინაღმდეგი: 1

4. **მომხსენებელი: გ. ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების ( სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარით აუქციონის წესით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

გადაწყვიტეს მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს თანდართული დანართით წარმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები იჯარით, აუქციონის წესით. (8 მიწის ნაკვეთი).

**აზრი გამოთქვეს:** 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი: 1

5. **მომხსენებელი: გ. ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის ” უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

გადაწყვიტეს მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 100 (ასი) ცალი სანაგვე კონტეინერი (1100 ლიტრიანი), საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 63 500, 52 (სამოცდასამიათას ხუთასი და 52 თეთრი) ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი: 1

6. **მომხსენებელი: გ. ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი

გადაწყვიტეს მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს''(ს/კ 2289287740), მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული A4 ფორმატის ,,B'' ტიპის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი (SAMSUNG Xpress M2870FD), საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 471,08 (ოთხასსამოცდათერთმეტი) ლარი, და ორი ერთეული ტონერიანი კარტრიჯი საბალანსო ღირებულებით 174, 00 (ასსამოცდათოთხმეტი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი: 1

7. მომხსენებელი: გ. ციხელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

გადაწყვიტეს მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს , გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით , იჯარით, თავისუფალი სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.(66 მიწის ნაკვეთი).

აზრი გამოთქვეს: 0

გადაწყვიტეს:

მომხრე: 24

წინაღმდეგი: 1

8. მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის" გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე

„პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 10.07.2018-10.04.2019 წწ. პერიოდის ანგარიშის შეხაზ გაცნობებთ, რომ საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა 37 განცხადება, აქედან ექვსი განმხადებლის დმანისის მუნიციპალიტეტის 1993 წლის 31 მარტისათვის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტი დადგინდა, ხოლო 31 განმცხადებლის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტი არ დადგინდა.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული ,,პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის" ანგარიში.

მომხრე: 24

წინაღმდეგი: 1

საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ ოქრიაშვილი

სხდომის მდივანი: ლ. გადრანი